ერთობლივი კითხვა და მისი ვარიაციები

მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად კითხულობენ ტექსტს და ასრულებენ მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობას.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: მცირე ჯგუფები, მთელი კლასი

რესურსი: დიდი წიგნი/დიდფორმატიან ქაღალდზე, პოსტერზე ან დაფაზე დიდი ასოებით დაწერილი ტექსტი/პროექტორით გაშვებული ელექტრონული წიგნი.

მსვლელობა

საფეხური 1. წიგნისა და ილუსტრაციების წინასწარი მიმოხილვა. მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს წიგნს (ტექსტს), გააცნობს სათაურსა და ავტორს, მიმოიხილავს ყდასა და წიგნში არსებულ ილუსტრაციებს. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი. შესაძლებელია, მასწავლებელმა წინასწარ გააცნოს ბავშვებს ტექსტში არსებული უცნობი ლექსიკური ერთეულები, გამოათქმევინოს მათი მნიშვნელობების შესახებ ვარაუდები და მათი პასუხები ჩაინიშნოს დაფაზე, მოგვიანებით კი მოსწავლეები მიაბრუნოს სიტყვების განმარტებებთან და დაეხმაროს მათ, კონტექსტური გასაღებების მეშვეობით დაადგინონ/გადაამოწმონ სიტყვების მნიშვნელობები.

საფეხური 2. საჩვენებელი კითხვა. მასწავლებელი საჩვენებელი კითხვის მეთოდის გამოყენებით ხმამაღლა და მკაფიოდ რამდენჯერმე უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს და კითხვისას ხელს გააყოლებს სიტყვებს.

საფეხური 3. ერთობლივი კითხვა - მოსწავლე და მასწავლებელი. მასწავლებლის მიერ საჩვენებელი წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები მას გუნდურად აჰყვებიან იმ სიტყვებისა და ფრაზების წაკითხვისას, რომელთაც უკვე ცნობენ. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ხმამაღლა კითხულობს ტექსტს.

საფეხური 4. ერთობლივი კითხვა დამოუკიდებლად. მოსწავლეები ერთობლივად, მასწავლებლის ჩარევის გარეშე კითხულობენ ტექსტს (ზოგჯერ მასწავლებელი ხელს გააყოლებს წასაკითხ სიტყვებს). მნიშვნელოვანია, რომ ეს აქტივობა რამდენჯერმე გამეორდეს, ოღონდ იმგვარად, რომ მოსწავლეებისთვის სახალისო იყოს. ამისათვის მასწავლებელმა მარტივი, სახალისო მახასიათებლებით უნდა შეარჩიოს მკითხველები ყოველი მომდევნო წაკითხვისას (მაგ., წაიკითხონ მათ, ვისაც უყვარს შოკოლადი; მათ, ვისაც აქვთ ყავისფერი თვალები და სხვ.).

საფეხური 5. განვრცობის აქტივობები. მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან დავალებებს ტექსტის გარშემო. ეს შეიძლება იყოს საყვარელი მონაკვეთის ან კონკრეტული აბზაცის ილუსტრირება, „დამალული“ სიტყვების გახსენება კონტექსტის მიხედვით, არეული წინადადებებისა და სიტყვების დალაგება და სხვ.

შენიშვნა: ერთობლივი კითხვისათვის გამოიყენება როგორც მხატვრული, ისე საინფორმაციო ტიპის ტექსტები. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ტექსტები იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისი სირთულის, რათა ბავშვებში დემოტივაცია და იმედგაცრუება არ გამოიწვიოს.

ერთობლივი კითხვის ვარიაციები

გუნდური კითხვა: მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად კითხულობენ ტექსტს. კითხვის პროცესში მასწავლებელი ხელის/ჯოხის გამოყენებით მიუთითებს წასაკითხ სიტყვებს.

ექოს ტიპის კითხვა: მასწავლებელი კითხულობს ერთ წინადადებას. შემდეგ მოსწავლეები ერთხმად კითხულობენ მასწავლებლის მიერ წაკითხულს. ამგვარად იკითხება მთელი ტექსტი.

ქოროს ტიპის კითხვა: მასწავლებელი კლასს ყოფს ორ გუნდად. ტექსტის ერთ წინადადებას კითხულობს ერთი გუნდი, მომდევნო წინადადებას – მეორე გუნდი. ამგვარად, ქოროს პრინციპით, იკითხება მთელი ტექსტი.

რეკომენდაციები დიდი წიგნის შექმნისთვის

- აიღეთ მცირე ზომის ტექსტი და დაყავით ნაწილებად (4-6 ნაწილი). ტექსტი შეიძლება იყოს ერთობლივი წერის პროცესში შეთხზული, ცნობილი ადაპტირებული ზღაპარი, თქვენ მიერ შეთხზული ამბავი.
- შექმენით წიგნის ყდა. დახატეთ მასზე საკვანძო ილუსტრაცია, რომელიც საშუალებას მისცემს პატარებს გამოთქვან ვარაუდები წიგნის შინაარსის შესახებ. დააწერეთ სათაური და ავტორი. კარგი იქნება, თუ გამოცემის წელს და „გამომცემლობასაც“ მიუთითებთ.
- წიგნის თითოეულ განშლაზე უნდა იყოს ილუსტრაცია და ტექსტი. გაითვალისწინეთ, ასოების ზომა უნდა იყოს დაახლოებით 6-8 სმ, საკლასო ოთახის ბოლოდანაც რომ ადვილად იკითხებოდეს.
- სასურველია, ტექსტი არ იყოს გადატვირთული რთული სიტყვებითა და გრძელი წინადადებებით. კარგი იქნება, თუ გამოყენებული იქნება ხშირი და ცნობადი სიტყვები, შორისდებულები, ასოთა დუბლირებები (მაგ., ჩუუუუ! ფრრრრრრ!).
- ყურადღება მიაქციეთ ასოებსა და სიტყვებს შორის დაშორებებს და ასოების მოხაზულობას, რომ ტექსტი თვალისთვისაც ადვილად აღსაქმელი იყოს.